

## Placing Meat on Spits

### Georgian transcript:

**რუსო:** ნიკუმ რას აკეთებ?

**ნიკა:** ეს არის შამფურები, სადაც უნდა ჩამოვაცვათ ხორცი, რომელიც უკვე გამზადებულია და შემდეგ დაიდება იქ სპეციალურ მოსამზადებელ... მომზადებულ ნახვერჩხალზე და შეიწვება.

**მეგობარი:** ნიკო ეს რა არის, დასაჭრელი იყიდე?

**ნიკა:** ეს დასაჭრელია შენი აზრით?

**მეგობარი:** ეს ნახე რამხელაა

**ნიკა:** ეს არის ღორის ხორცი

**მეგობარი:** და ვისაც არ უჭამია ძალიან ბევრი აქვს დაკარგული.

**ნიკა:** საქართველოში თუ ჩამოხვალთ აუცილებლად ჭამეთ.

**მეგობარი 2:** ის მასტი უნდა გავიჩითო, ბეგემოტი რომ არის ხო იცი.

**მეგობარი:** და მწვადი აუცილებლად უნდა შეიწვას წალამზე. ანუ რუსო შენ გადათარგმნე მერე რა არის წალამი.

**რუსო:** მერე გადავთარგმნი.

**მეგობარი:** ეს რაზე დავალაგოთ. ანუ რაღაც გააძრე რომ დავალაგოთ ეს. ეს ჩამოვარდება წინ გაუკეთე თორემ ჩამოვარდება. ეს დაიჭირე ივანე... მომე.

**რუსო:** მანახე აბა შამფური. კი მაგარი გამოვიდა

**მეგობარი 2:** ესე აი

**რუსო:** კი, მაგარია

**მეგობარი 2:** თან ჩაბასთურმებული არის

**რუსო:** რაში არის ჩაბასთურმებული?

მეგობარი 2: ნიორში, რაღაც სურნელებში არის.

მეგობარი: სურნელი არ ქვია მაგას ქვია სუნელი.

მეგობარი 2: ხო

**English translation:**

**Ruso:** Nikush, what are you doing?

**Nika:** These are the spits that are used to put the meat on, and then we will place them on specially arranged embers and get roasted.

**Friend:** Niko, what is this – did you buy an uncut one?

**Nika:** This is uncut in your opinion?

**Friends:** Look how big this one is.

**Nika:** This is pork.

**Friend:** And who hasn't had it has lost a lot.

**Nika:** If you come to Georgia you have to taste it.

**Friend 2:** I should be that guy, you know, the hippopotamus<sup>1</sup>.

**Friend:** And *Mtsvadi* should be roasted on *tsalami*<sup>2</sup>. Ruso, you translate later what *tsalami* means.

**Ruso:** I'll translate later.

**Friend:** What should we put this on? Find something to put this on. This will fall down... Put it in front, or else it will fall. Hold this Ivane... Give it to me.

**Ruso:** Show me the spit. Yes, this came out great.

**Friend 2:** Moreover, it is marinated.

**Ruso:** What is it marinated in?

---

<sup>1</sup> Referring to a cartoon character.

<sup>2</sup> Grapewood.

**Friend 2:** Garlic and some flavors.

**Friend:** It's not called flavor, it's called spices.

**Friend 2:** Right.

**About CultureTalk:** CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated